

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
“ჯი-თი მოტორს”

ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## სარჩევი

|                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                                  | 3  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე .....           | 3  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში..    | 4  |
| დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ ..... | 4  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                               | 6  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....               | 7  |
| კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება .....                       | 8  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                           | 9  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....             | 10 |
| შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება .....            | 17 |
| რისკის მართვა.....                                                     | 25 |
| ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                               | 29 |
| წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....                       | 30 |
| სასამართლო დავები .....                                                | 31 |
| საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....                                      | 31 |
| საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....                         | 31 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### შპს “ჯი-თი მოტორს“-ის დამფუძნებლებს

#### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი მოტორს“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

### დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებულ ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

#### **ჩვენი აზრით:**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობითი ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

*შპს ფინანსური მართვის ჯგუფი*

*რუსუდან ჩაგელიშვილი*

*25 სექტემბერი, 2021*

*თბილისი, საქართველო*

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

#### ჩვენი აზრით:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობითი ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი *რ. ჩაგელიშვილი*

25 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                         |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები:</b>                           |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                                    | 6        | 36 304 680        | 34 001 370        |
| არამატერიალური აქტივები                                 |          | 271 766           | 301 305           |
| აქტივის გამოყენების უფლება                              |          | 200 636           | 93 642            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          | <b>36 777 082</b> | <b>34 396 317</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>                              |          |                   |                   |
| მარაგები                                                | 7        | 34 391 177        | 27 015 334        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              | 8        | 17 087 516        | 5 426 701         |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                         | 9        | 930 793           | 800 752           |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები                        | 10       | 4 637 404         | 1 012 643         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                 |          | 12 270            | 91 528            |
| ფული და ფულის ექვივალენტები                             | 11       | 5 325 304         | 1 832 151         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                           |          | <b>62 384 463</b> | <b>36 179 109</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                     |          | <b>99 161 545</b> | <b>70 575 426</b> |
| <b>აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები</b>             |          |                   |                   |
| <b>აქციონერთა კაპიტალი:</b>                             |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                      |          | 1 476 081         | 1 476 081         |
| გაუნაწილებელი მოგება                                    |          | 55 463 887        | 39 317 130        |
| მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი                 |          | 9 660 882         | 9 998 223         |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი</b>                          |          | <b>66 600 850</b> | <b>50 791 434</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები:</b>                      |          |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                                    | 12       | 4 320 900         | 3 129 522         |
| საიჯარო ვალდებულება                                     |          | 223 644           | 105 362           |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   |          | <b>4 544 544</b>  | <b>3 234 884</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>                         |          |                   |                   |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 13       | 20 384 579        | 8 685 931         |
| მიღებული ავანსები                                       |          | 7 624 470         | 4 716 253         |
| მოკლევადიანი სესხები                                    | 12       | 7 103             | 3 146 924         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      |          | <b>28 016 151</b> | <b>16 549 108</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                |          | <b>32 560 695</b> | <b>19 783 992</b> |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |          | <b>99 161 545</b> | <b>70 575 426</b> |

დირექტორი  
25 სექტემბერი, 2021  
თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                         |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები:</b>                           |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                                    | 6        | 36 304 680        | 34 001 370        |
| არამატერიალური აქტივები                                 |          | 271 766           | 301 305           |
| აქტივის გამოყენების უფლება                              |          | 200 636           | 93 642            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          | <b>36 777 082</b> | <b>34 396 317</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>                              |          |                   |                   |
| მარაგები                                                | 7        | 34 391 177        | 27 015 334        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              | 8        | 17 087 516        | 5 426 701         |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                         | 9        | 930 793           | 800 752           |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები                        | 10       | 4 637 404         | 1 012 643         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                 |          | 12 270            | 91 528            |
| ფული და ფულის ექვივალენტები                             | 11       | 5 325 304         | 1 832 151         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                           |          | <b>62 384 463</b> | <b>36 179 109</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                     |          | <b>99 161 545</b> | <b>70 575 426</b> |
| <b>აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები</b>             |          |                   |                   |
| <b>აქციონერთა კაპიტალი:</b>                             |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                      |          | 1 476 081         | 1 476 081         |
| გაუნაწილებელი მოგება                                    |          | 55 463 887        | 39 317 130        |
| მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი                 |          | 9 660 882         | 9 998 223         |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი</b>                          |          | <b>66 600 850</b> | <b>50 791 434</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები:</b>                      |          |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                                    | 12       | 4 320 900         | 3 129 522         |
| საიჯარო ვალდებულება                                     |          | 223 644           | 105 362           |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   |          | <b>4 544 544</b>  | <b>3 234 884</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>                         |          |                   |                   |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 13       | 20 384 579        | 8 685 931         |
| მიღებული ავანსები                                       |          | 7 624 470         | 4 716 253         |
| მოკლევადიანი სესხები                                    | 12       | 7 103             | 3 146 924         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      |          | <b>28 016 151</b> | <b>16 549 108</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                |          | <b>32 560 695</b> | <b>19 783 992</b> |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |          | <b>99 161 545</b> | <b>70 575 426</b> |

დირექტორი  
25 სექტემბერი, 2021  
თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს  
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი


|                                            | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|--------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>მიმდინარე ოპერაციები</b>                |          |                   |                   |
| შემოსავალი                                 | 14       | 175 997 579       | 162 631 839       |
| რსთ                                        | 15       | (140 654 548)     | (135 373 139)     |
| <b>მთლიანი მოგება</b>                      |          | <b>35,343,031</b> | <b>27 258 700</b> |
| მიწოდების და მომსახურების ხარჯები          | 16       | (4 979 740)       | (4 604 713)       |
| ადმინისტრაციული ხარჯები                    | 17       | (10 492 223)      | (6 882 547)       |
| საპროცენტო შემოსავლები                     |          | 51 607            | 39 672            |
| საპროცენტო ხარჯები                         |          | (2 272 904)       | (1 608 878)       |
| ფინანსური ხარჯი, წმინდა                    | 18       | (2 254 194)       | 591 616           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი           |          | 4 478 437         | 5 704 716         |
| <b>მოგება გადასახადამდე</b>                |          | <b>19 874 014</b> | <b>20 498 566</b> |
| მოგების გადასახადი                         |          | -                 | -                 |
| <b>წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან</b> |          | <b>19 874 014</b> | <b>20 498 566</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                      |          | -                 | -                 |
| <b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>           |          | <b>19 874 014</b> | <b>20 498 566</b> |

დირექტორი

25 სექტემბერი, 2021  
 თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს  
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| შენიშვნა                            | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|-------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>მიმდინარე ოპერაციები</b>         |                   |                   |
| შემოსავალი                          | 14                | 175 997 579       |
| რსთ                                 | 15                | (140 654 548)     |
|                                     |                   | 162 631 839       |
|                                     |                   | (135 373 139)     |
| <b>მთლიანი მოგება</b>               | <b>35,343,031</b> | <b>27 258 700</b> |
| მიწოდების და მომსახურების ხარჯები   | 16                | (4 979 740)       |
| ადმინისტრაციული ხარჯები             | 17                | (4 604 713)       |
| საპროცენტო შემოსავლები              |                   | (10 492 223)      |
| საპროცენტო ხარჯები                  |                   | 6 882 547         |
|                                     |                   | 51 607            |
|                                     |                   | 39 672            |
| ფინანსური ხარჯი, წმინდა             |                   | (2 272 904)       |
| 18                                  |                   | (1 608 878)       |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი    |                   | (2 254 194)       |
|                                     |                   | 591 616           |
|                                     |                   | 4 478 437         |
|                                     |                   | 5 704 716         |
| <b>მოგება გადასახადამდე</b>         | <b>19 874 014</b> | <b>20 498 566</b> |
| მოგების გადასახადი                  |                   | -                 |
| წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან | 19 874 014        | 20 498 566        |
| სხვა სრული შემოსავალი               |                   | -                 |
| სულ წლის სრული შემოსავალი           | 19 874 014        | 20 498 566        |

  
 დირექტორი

25 სექტემბერი, 2021  
 თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს  
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი


|                                | საწესდებო<br>კაპიტალი | მიწისა და შენობების<br>გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი       |
|--------------------------------|-----------------------|--------------------------------------------|-------------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2019</b>    | <b>1 476 081</b>      | <b>4 258 576</b>                           | <b>23 905 019</b>       | <b>29 639 676</b>  |
| შენატანი საწესდებო კაპიტალში   |                       |                                            | -                       | -                  |
| სულ წლის სრული შემოსავალი      | -                     | 5 739 645                                  | 20 498 566              | <b>26 238 211</b>  |
| გადახდილი დივიდენდები          | -                     |                                            | (5 086 453)             | <b>(5 086 453)</b> |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2019</b> | <b>1 476 081</b>      | <b>9 998 221</b>                           | <b>39 317 132</b>       | <b>50 791 434</b>  |
| შენატანი საწესდებო კაპიტალში   | -                     |                                            | -                       |                    |
| სულ წლის სრული შემოსავალი      | -                     |                                            | 19 874 014              | <b>19 874 014</b>  |
| გადახდილი დივიდენდები          | -                     |                                            | (3 727 257)             | <b>(3 727 257)</b> |
| ცვეთით რეზერვის<br>კორექტირება |                       | (337 341)                                  |                         | <b>(337 341)</b>   |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2020</b> | <b>1 476 081</b>      | <b>9 660 880</b>                           | <b>55 463 889</b>       | <b>66 600 850</b>  |

დირექტორი

25 სექტემბერი, 2021  
 თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს  
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                | საწესდებო<br>კაპიტალი | მიწისა და შენობების<br>გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|--------------------------------|-----------------------|--------------------------------------------|-------------------------|--------------|
| ნაშთი 1 იანვარი 2019           | 1 476 081             | 4 258 576                                  | 23 905 019              | 29 639 676   |
| შენატანი საწესდებო კაპიტალში   | -                     | -                                          | -                       | -            |
| სულ წლის სრული შემოსავალი      | -                     | 5 739 645                                  | 20 498 566              | 26 238 211   |
| გადახდილი დივიდენდები          | -                     | -                                          | (5 086 453)             | (5 086 453)  |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2019        | 1 476 081             | 9 998 221                                  | 39 317 132              | 50 791 434   |
| შენატანი საწესდებო კაპიტალში   | -                     | -                                          | -                       | -            |
| სულ წლის სრული შემოსავალი      | -                     | -                                          | 19 874 014              | 19 874 014   |
| გადახდილი დივიდენდები          | -                     | -                                          | (3 727 257)             | (3 727 257)  |
| ცვეთით რეზერვის<br>კორექტირება | -                     | (337 341)                                  | -                       | (337 341)    |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2020        | 1 476 081             | 9 660 880                                  | 55 463 889              | 66 600 850   |

  
 დირექტორი

25 სექტემბერი, 2021  
 თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

31 დეკემბერი 2020 31 დეკემბერი 2019

|                                                                                                        |                    |                     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|---------------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                             |                    |                     |
| წლის მოგება გადასახადებამდე                                                                            | 19 874 014         | 20 498 566          |
| კორექტირება:                                                                                           |                    |                     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                   | 1 659 053          | 1 338 072           |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება                                                      | (1 977)            | 47 503              |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                                                                         | 4 546              | 7 084               |
| წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე                                                                     | 2 254 194          | (591 616)           |
| ფინანსური ხარჯი                                                                                        | 2 272 904          | 1 608 878           |
| <b>სახსრების შემოღება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე</b> | <b>26 062 734</b>  | <b>22 908 487</b>   |
| მარაგების კლება/(ზრდა)                                                                                 | (7 375 843)        | (8 062 267)         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა                                                                       | (14 949 885)       | (2 867 242)         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება                                                                   | 13 156 504         | 7 465 410           |
| <b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                                                                   | <b>16 893 510</b>  | <b>19 444 388</b>   |
| საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი                                                              | (5 649)            | (11 720)            |
| გადახდილი პროცენტი                                                                                     | (2 265 155)        | (1 615 809)         |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                 | <b>14 622 706</b>  | <b>17 816 859</b>   |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                            |                    |                     |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან                                                         | 82 168             | 271 005             |
| ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები                                                        | (4 461 896)        | (1 696 106)         |
| არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები                                                    | 0                  | (222 167)           |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                     | <b>(4 379 728)</b> | <b>(1 647 268)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან</b>                                               |                    |                     |
| შემოსავალი მიღებული სესხებიდან                                                                         | 27 376 077         | 20 873 917          |
| სესხების დაფარვა                                                                                       | (29 783 260)       | (31 231 118)        |
| გაცემული დივიდენდები                                                                                   | (3 727 257)        | (5 086 453)         |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა                                                                         | (111 769)          | (101 101)           |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული</b>                                                  | <b>(6 246 209)</b> | <b>(15 544 755)</b> |
| <b>წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>                                               | <b>3 996 769</b>   | <b>624 836</b>      |
| საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე                                 | (503 616)          | 296 431             |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში</b>                                                | <b>1 832 151</b>   | <b>910 884</b>      |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>                                                     | <b>5 325 304</b>   | <b>1 832 151</b>    |

დირექტორი

25 სექტემბერი, 2021  
თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

31 დეკემბერი 2020

31 დეკემბერი 2019

|                                                                                                          |                    |                     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|---------------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                               |                    |                     |
| წლის მოგება გადასახადებამდე                                                                              | 19 874 014         | 20 498 566          |
| <b>კორექტირება:</b>                                                                                      |                    |                     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                     | 1 659 053          | 1 338 072           |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება                                                        | (1 977)            | 47 503              |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                                                                           | 4 546              | 7 084               |
| წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე                                                                       | 2 254 194          | (591 616)           |
| ფინანსური ხარჯი                                                                                          | 2 272 904          | 1 608 878           |
| <b>სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე</b> | <b>26 062 734</b>  | <b>22 908 487</b>   |
| მარაგების კლება/(ზრდა)                                                                                   | (7 375 843)        | (8 062 267)         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა                                                                         | (14 949 885)       | (2 867 242)         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება                                                                     | 13 156 504         | 7 465 410           |
| <b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                                                                     | <b>16 893 510</b>  | <b>19 444 388</b>   |
| საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი                                                                | (5 649)            | (11 720)            |
| გადახდილი პროცენტი                                                                                       | (2 265 155)        | (1 615 809)         |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                   | <b>14 622 706</b>  | <b>17 816 859</b>   |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                              |                    |                     |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან                                                           | 82 168             | 271 005             |
| ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები                                                          | (4 461 896)        | (1 696 106)         |
| არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები                                                      | 0                  | (222 167)           |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                       | <b>(4 379 728)</b> | <b>(1 647 268)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან</b>                                                 |                    |                     |
| შემოსავალი მიღებული სესხებიდან                                                                           | 27 376 077         | 20 873 917          |
| სესხების დაფარვა                                                                                         | (29 783 260)       | (31 231 118)        |
| გაცემული დივიდენდები                                                                                     | (3 727 257)        | (5 086 453)         |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა                                                                           | (111 769)          | (101 101)           |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული</b>                                                    | <b>(6 246 209)</b> | <b>(15 544 755)</b> |
| <b>წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>                                                 | <b>3 996 769</b>   | <b>624 836</b>      |
| საკუროს სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე                                   | (503 616)          | 296 431             |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში</b>                                                  | <b>1 832 151</b>   | <b>910 884</b>      |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>                                                       | <b>5 325 304</b>   | <b>1 832 151</b>    |

დირექტორი

25 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯი-თი მოტორს“ (შემდგომში - *კომპანია*) დაარსდა 2007 წლის 14 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 -2019 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის - 100% წილის მფლობელია - შპს „ჯი-თუ გრუპ“, ხოლო ამ უკანასკნელის უშუალო მფლობელებია ფიზიკური პირები: გიორგი თავდიშვილი (პ/ნ 61001002615) 33%-იანი წილით, გიორგი გველესიანი (პ/ნ 61001004135) 34%-იანი წილით და თემურ უსტიაშვილი (პ/ნ 61001007309) 33%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. *კომპანიის* ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ავტო მანქანების იმპორტი და ვაჭრობა, ასევე ავტო მანქანებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია დავით აღმაშენებლის ხეივანი #155, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

### მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

*კომპანიის* თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს *კომპანიის* ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს *კომპანიის* ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე იმის დაშვებით, რომ *კომპანია* განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. *კომპანიის* ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ *კომპანია* საქართველოში. როგორც 22-ე შენიშვნაშია მოცემული, ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - „**კოვიდ 19**“-ის გავლენა საწარმოს ფუნქციონირებაზე: საქართველოს მთავრობის 297-ე დადგენილების თანახმად *კომპანიას* მიეცა შეზღუდული მუშაობის უფლება, ძირითადი საოპერაციო

საქმიანობის ფარგლებში და სრულად განაახლა საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

### ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება/ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

### ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                           | 31 დეკემბერი, 2020 | 31 დეკემბერი, 2019 |
|---------------------------|--------------------|--------------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი         | 3.2766             | 2.8677             |
| ლარი/1 გირვანქა სტერლინგი | 4.4529             | 3.7593             |
| ლარი/1 ევრო               | 4.0233             | 3.2095             |

### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების

მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

#### **ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია**

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).**

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

#### **ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება**

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

#### **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია**

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

### **ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება**

*კომპანია* ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც *კომპანიამ* გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს *კომპანიის* ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

*კომპანიის* მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

### **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. *კომპანიის* საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები წარმოადგენს *კომპანიის* საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება და მისი ნაშთის არ არსებობა შესაძლოა გახდეს მიწოდების შეზღუდვის საფუძველი.

### **დამატებითი ღირებულების გადასახადი**

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული

დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

### ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ფლობილი მიწა და შენობა-ნაგებობები ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც არის გადაფასების დღეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება ისეთი სიხშირით, რომლის შედეგად, საბალანსო ღირებულება დაახლოებით იმ ღირებულების ტოლია, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოშობილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაფასებით მიღებული ზრდა უკუგებას უკეთებს იმ ზარალს, რომელიც მანამდე გადაფასების შედეგად მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ამ შემთხვევაში ზრდა აღიარდება მოგება-ზარალში როგორც შემოსავალი იმ თანხის ოდენობით, რა თანხაც მანამდე მოგება-ზარალში როგორც ზარალი იყო

იყო აღიარებული. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი შემცირება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხით, რა თანხითაც ის აჭარბებს ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის ნაშთს.

სხვა ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საკუთრების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

## ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. გადაფასებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში. სხვა ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

| სასარგებლო გამოყენების ვადა<br>წლებში: |         |
|----------------------------------------|---------|
| შენობები                               | 20 – 25 |
| კომპიუტერული და სხვა ტექნიკა           | 5 – 10  |
| სპეციალური ინვენტარი                   | 5 – 10  |
| სატრანსპორტო საშუალებები               | 5 – 10  |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა            | 5 – 10  |
| მანქანა-დანადგარები                    | 5 – 10  |

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

### **გადახდილი ავანსები**

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

### **სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს *კომპანიის* ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

### **საწესდებო კაპიტალი**

*კომპანიის* უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება *კომპანიის* წესების მიერ. ცვლილებები *კომპანიის* წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ *კომპანიის* მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი *კომპანიის* კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა *კომპანიაზე* მფლობელების მიერ. ყველა

ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებებში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

### დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი ასახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

### შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

### ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

### უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

### შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

#### სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის  
საანგარიშგებო გალუტა ლარი

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

| დასახელება                               | მიწის<br>ნაკვეთები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | სპეციალური<br>აღწერილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა და<br>მოწყობილობები | ავეჯი და<br>ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | გაყიდვებისა და<br>საწარმოო<br>განყოფილების<br>აღჭურვილობა | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კუთილმოწყობა | სხვა             | სულ                |
|------------------------------------------|--------------------|-----------------------------|-----------------------|------------------------|--------------------------|---------------------------------------------|-----------------------------------|-----------------------------|-----------------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2019</b>              | <b>12 179 220</b>  | <b>-</b>                    | <b>10 454 978</b>     | <b>1 435 865</b>       | <b>573 187</b>           | <b>601 563</b>                              | <b>597 703</b>                    | <b>3 276 075</b>            | <b>1 525 012</b>                                          | <b>8 871</b>                                 | <b>449 261</b>   | <b>31 101 737</b>  |
| შესყიდვა                                 |                    |                             |                       | 148 469                | 99 186                   | 58 658                                      | 93 363                            |                             | 31 090                                                    |                                              |                  | 430 766            |
| კაპიტალიზაცია                            |                    |                             | 98 084                | 273 926                | 92 959                   | 531                                         | 9 409                             | 721 795                     | 233                                                       |                                              | 88 682           | 1 285 620          |
| ძირითადი საშუალებების გასვლა             |                    |                             |                       | (25 849)               |                          | (37 717)                                    | (7 377)                           | (490 821)                   | (26 746)                                                  |                                              | (8 989)          | (597 498)          |
| გადაფასების შედეგად გასვლა               |                    |                             | (875 567)             |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  | (875 567)          |
| რეალიზაცია                               |                    |                             |                       |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  |                    |
| გადაფასება                               | 609 965            |                             | 5 205 100             |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  | 5 815 065          |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2019</b>           | <b>12 789 185</b>  | <b>-</b>                    | <b>14 882 596</b>     | <b>1 832 411</b>       | <b>765 333</b>           | <b>623 035</b>                              | <b>693 098</b>                    | <b>3 507 049</b>            | <b>1 529 590</b>                                          | <b>8 871</b>                                 | <b>528 954</b>   | <b>37 160 123</b>  |
| შესყიდვა                                 | 663 813            |                             | 36 467.42             | 75 531                 | 41 760                   |                                             | 300 952                           | 1 298 925                   | 610 411                                                   |                                              | 46 159           | 3 074 020          |
| კაპიტალიზაცია                            |                    |                             | 1 150 772             |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           | 213 988                                      |                  | 1 387 877          |
| ძირითადი საშუალებების გასვლა             |                    | 23 116                      |                       |                        | (1 059)                  |                                             | (13 237)                          | (130 550)                   | (5 315)                                                   | (106 994)                                    | (10 833)         | (267 988)          |
| გადაფასების შედეგად გასვლა               |                    |                             |                       |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  |                    |
| გადაფასება                               |                    |                             |                       |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  |                    |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2020</b>           | <b>13 452 998</b>  | <b>23 116</b>               | <b>16 069 835</b>     | <b>1 907 942</b>       | <b>806 034</b>           | <b>623 035</b>                              | <b>980 813</b>                    | <b>4 675 425</b>            | <b>2 134 686</b>                                          | <b>115 865</b>                               | <b>564 280</b>   | <b>41 354 031</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2019</b>    | <b>-</b>           | <b>-</b>                    | <b>(436 520)</b>      | <b>(609 174)</b>       | <b>(291 607)</b>         | <b>(191 271)</b>                            | <b>(185 683)</b>                  | <b>(472 698)</b>            | <b>(490 394)</b>                                          | <b>(855)</b>                                 | <b>(203 801)</b> | <b>(2 882 003)</b> |
| ცვეთის ხარჯი                             |                    |                             | (363 626)             | (124 347)              | (61 647)                 | (102 726)                                   | (73 765)                          | (412 227)                   | (137 429)                                                 | (1 141)                                      | (51 613)         | (1 328 521)        |
| რეალიზაცია-გასვლა                        |                    |                             |                       | 19 534                 |                          |                                             | 4 599                             |                             |                                                           |                                              | 6 198            | 30 331             |
| გადაფასების შედეგად ცვეთის<br>ელიმინაცია |                    |                             | 800 147               | 2 828                  |                          |                                             | 14 804                            | 184 811                     |                                                           |                                              | 18 851           | 1 021 442          |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019</b> | <b>-</b>           | <b>-</b>                    | <b>0</b>              | <b>(711 158)</b>       | <b>(353 254)</b>         | <b>(293 996)</b>                            | <b>(240 045)</b>                  | <b>(700 114)</b>            | <b>(627 823)</b>                                          | <b>(1 996)</b>                               | <b>(230 365)</b> | <b>(3 158 751)</b> |
| ცვეთის ხარჯი                             |                    |                             | (374 189)             | (164 313)              | (77 953)                 |                                             | (205 109)                         | (464 426)                   | (178 029)                                                 | (106 994)                                    | (58 501)         | (1 629 514)        |
| რეალიზაცია-გასვლა                        |                    |                             |                       |                        | 16 447                   |                                             |                                   | 51 285                      |                                                           |                                              | 8 524            | 76 257             |
| გადაფასების შედეგად ცვეთის<br>ელიმინაცია |                    |                             | (337 342)             |                        |                          |                                             |                                   |                             |                                                           |                                              |                  | (337 342)          |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020</b> | <b>-</b>           | <b>-</b>                    | <b>(711 530)</b>      | <b>(875 471)</b>       | <b>(414 759)</b>         | <b>(293 996)</b>                            | <b>(445 154)</b>                  | <b>(1 113 256)</b>          | <b>(805 852)</b>                                          | <b>(108 990)</b>                             | <b>(280 341)</b> | <b>(5 049 350)</b> |
| <b>2019 წლის 1 იანვარი</b>               | <b>12 179 220</b>  | <b>-</b>                    | <b>10 018 458</b>     | <b>826 691</b>         | <b>281 581</b>           | <b>410 292</b>                              | <b>412 020</b>                    | <b>2 803 377</b>            | <b>1 034 619</b>                                          | <b>8 016</b>                                 | <b>245 461</b>   | <b>28 219 733</b>  |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>            | <b>12 789 185</b>  | <b>-</b>                    | <b>14 882 596</b>     | <b>1 121 253</b>       | <b>412 079</b>           | <b>329 038</b>                              | <b>453 053</b>                    | <b>2 806 935</b>            | <b>901 767</b>                                            | <b>6 875</b>                                 | <b>298 589</b>   | <b>34 001 370</b>  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>            | <b>13 452 998</b>  | <b>23 116</b>               | <b>15 358 305</b>     | <b>1 032 471</b>       | <b>391 275</b>           | <b>329 038</b>                              | <b>535 659</b>                    | <b>3 562 170</b>            | <b>1 328 834</b>                                          | <b>6 875</b>                                 | <b>283 939</b>   | <b>36 304 680</b>  |

## შენიშვნა 7 - მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

|                                  | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|----------------------------------|-------------------|-------------------|
| მსუბუქი ავტომანქანები            | 23 992 181        | 16 601 646        |
| მიკროავტობუსები და სპეც. ტექნიკა | 4 210 673         | 4 620 322         |
| სათადარიგო ნაწილები              | 5 868 249         | 5 385 090         |
| ზეთები და საცხებ საპოხი მასალები | 33 103            | 55 080            |
| ნედლეული და მასალები             | 286 971           | 353 196           |
| <b>სულ</b>                       | <b>34 391 177</b> | <b>27 015 334</b> |

## შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავდა:

|                                          | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 17 124 216        | 5 547 221         |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 4 323             | 2 738             |
| საექვო მოთხოვნების კორექტირება           | (41 024)          | (123 258)         |
| <b>სულ</b>                               | <b>17 087 516</b> | <b>5 426 701</b>  |

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

| (ლარი)                                           | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 | 1 იანვარი 2019 |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|
| <b>გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს</b>            | <b>123 258</b>    | <b>78 547</b>     | <b>176 107</b> |
| დარიცხული გაუფასურება                            | 41 024            | 123 258           | 78 547         |
| გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში | (123 258)         | (78 547)          | (176 107)      |
| <b>გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის</b>         | <b>41 024</b>     | <b>123 258</b>    | <b>78 547</b>  |

სავაჭრო მოთხოვნების კლასიფიკაცია ვადიანობის მიხედვით შემდეგია:

| 31 დეკემბერი 2020                       | 0-3 თვემდე | 3-6 თვემდე | 6-12 თვემდე | 12 თვეზე მეტი | სულ        |
|-----------------------------------------|------------|------------|-------------|---------------|------------|
| შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება | 16 947 073 | 78 179     | 62 264      | 41 024        | 17 128 540 |

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                         |                   |                   |                    |                      |                   |
|-----------------------------------------|-------------------|-------------------|--------------------|----------------------|-------------------|
| დეფოლტისას, სულ                         |                   |                   |                    |                      |                   |
| მსდ არსებობის მანძილზე                  | -                 | -                 | -                  | (41 024)             | (41 024)          |
| <b>სულ</b>                              |                   |                   |                    |                      | <b>17 087 516</b> |
| შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება |                   |                   |                    |                      |                   |
| დეფოლტისას, სულ                         | 5 392 003         | 1 308             | 33 390             | 123 258              | 5 549 959         |
| მსდ არსებობის მანძილზე                  | -                 | -                 | -                  | (123 258)            | (123 258)         |
| <b>სულ</b>                              |                   |                   |                    |                      | <b>5 426 701</b>  |
| <b>1 იანვარი 2019</b>                   | <b>0-3 თვემდე</b> | <b>3-6 თვემდე</b> | <b>6-12 თვემდე</b> | <b>12 თვეზე მეტი</b> | <b>სულ</b>        |
| შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება | 2 676 299         | 184 530           | 102 317            | 78 547               | 3 041 693         |
| დეფოლტისას, სულ                         |                   |                   |                    |                      |                   |
| მსდ არსებობის მანძილზე                  | -                 | -                 | -                  | (78 547)             | (78 547)          |
| <b>სულ</b>                              |                   |                   |                    |                      | <b>2 963 146</b>  |

**შენიშვნა 9- წინასწარ გადახდილი გადასახადები**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, წინასწარ გადახდილი გადასახადები შედგება:

|                                                   | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადების თანხები | 942 692           | 800 753           |
| საპენსიო გადასახადის ვალდებულება                  | (11 898)          |                   |
| <b>სულ</b>                                        | <b>930 793</b>    | <b>800 753</b>    |

**შენიშვნა 10 - მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა:

|                                               | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები              | 4 799 249         | 1 174 488         |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების კორექტირება | (161 845)         | (161 845)         |
| <b>სულ</b>                                    | <b>4 637 404</b>  | <b>1 012 643</b>  |

## შენიშვნა 11 - ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

|                                                               | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში                                   | 283 069           | 121 485           |
| ეროვნული ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე                | 264 753           | 743 671           |
| უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე                 | 4 803 748         | 994 283           |
| საგარანტიო თანხების დეპონირება ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე | 1 688             | 667               |
| საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხების დეფოლტი          | (27954)           | (27954)           |
| <b>სულ</b>                                                    | <b>5 325 304</b>  | <b>1 832 151</b>  |

## შენიშვნა 12 - სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის სასესხო ვალდებულებები შედგება:

|                                                                            | ვალუტა | ვადაიანობა | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|----------------------------------------------------------------------------|--------|------------|-------------------|-------------------|
| #4270248 - სს საქართველოს ბანკი - სესხი კაპიტალიზაცია ლენდ როვერის ცენტრის | USD    | 19.03.2021 |                   | 735362            |
| სს საქართველოს ბანკი-გრძეკვადიანი სესხი N5802094-მიწის შესაძენად           | GEL    | 01.11.2023 | 4 320 900         | 5530774           |
| დარიცხული და გადასახდელი პროცენტები                                        |        |            | 7 103             | 10310             |
| <b>სულ ნასესხები სახსრები</b>                                              |        |            | <b>4 328 003</b>  | <b>6 276 446</b>  |

|                                      | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| ერთ თვემდე                           | 112 919           | 150 533           |
| ერთიდან სამ თვემდე                   | 217 713           | 295 135           |
| სამიდან თორმეტ თვემდე                | 1 013 066         | 2 701 255         |
| <b>სულ ერთ წელიწადში გადასახდელი</b> | <b>1 343 698</b>  | <b>3 146 924</b>  |
| ერთიდან ხუთ წლამდე                   | 2 984 304         | 3 129 522         |
| ხუთ წელზე მეტი                       |                   | -                 |
| <b>სულ ნასესხები სახსრები</b>        | <b>4 328 003</b>  | <b>6 276 446</b>  |

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                 | 1 იანვარი 2020 | პროცენტის<br>ცვლილება | ფულადი სახსრები<br>საფინანსო<br>საქმიანობიდან | საკუროს სხვაობის<br>ცვლილებით<br>მიღებული მოგება | 31 დეკემბერი 2020 |
|-----------------|----------------|-----------------------|-----------------------------------------------|--------------------------------------------------|-------------------|
| აღებული სესხები | 6 276 446      | (3 550)               | (2 407 183)                                   | 462 290                                          | 4 328 003         |

|                 | 1 იანვარი 2019 | პროცენტის<br>ცვლილება | ფულადი სახსრები<br>საფინანსო<br>საქმიანობიდან | საკუროს სხვაობის<br>ცვლილებით<br>მიღებული მოგება | 31 დეკემბერი 2019 |
|-----------------|----------------|-----------------------|-----------------------------------------------|--------------------------------------------------|-------------------|
| აღებული სესხები | 16 735 737     | (18 700)              | (10 357 201)                                  | (83 390)                                         | 6 276 446         |

**შენიშვნა 13 - მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შედგება:

|                       | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|-----------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 20 061 114        | 8 374 969         |
| სხვა გადასახდელები    | 323 465           | 310 961           |
|                       | <b>20 384 579</b> | <b>8 685 931</b>  |

**შენიშვნა 14 - შემოსავალი**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის შემოსავალი მოიცავდა:

|                                          | 31 დეკემბერი 2020  | 31 დეკემბერი 2019  |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან:</b> |                    |                    |
| მსუბუქი ავტომანქანები                    | 124 011 336        | 147 076 737        |
| მიკროავტობუსები                          | 41 453 534         | 7 272 250          |
| სათადარიგო ნაწილები და სხვა              | 3,947,893          | 2 916 629          |
| ზეთი და საცხებ-საპოხი საშუალება          | 631 815            | 589 314            |
| შემოსავალი მომსახურებიდან                | 4 300 135          | 3 620 451          |
| შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან     | 1 652 866          | 1 156 458          |
| <b>სულ</b>                               | <b>175 997 579</b> | <b>162 631 839</b> |

**შენიშვნა 15 - რეალიზაციის თვითღირებულება**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

|                                             | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:</b> |                   |                   |
| მსუბუქი ავტომანქანები                       | 105 430 355       | 124 985 591       |
| მიკროავტობუსები                             | 28 949 648        | 5 825 142         |
| სათადარიგო ნაწილები და სხვა                 | 3 232 879         | 2 668 137         |

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                  |                    |                    |
|----------------------------------|--------------------|--------------------|
| ზეთი და საცხებ-საპოხი საშუალება  | 403 935            | 309 195            |
| მომსახურების მასალები            | 1 520 502          | 788 037            |
| საგარანტიო მომსახურების მასალები | 1 117 229          | 797 036            |
| <b>სულ</b>                       | <b>140 654 548</b> | <b>135 373 138</b> |

**შენიშვნა 16 - მიწოდების და მომსახურების ხარჯები**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

|                                                         | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე                           | 1 357 205         | 1 174 987         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                    | 1 659 053         | 1 338 072         |
| დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა                   | 187 913           | 147 409           |
| რეკლამის ხარჯები                                        | 623 974           | 721 873           |
| ტრენინგებისა და მივლინების ხარჯი                        | 10 279            | 64 618            |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები                    | 40 153            | 23 644            |
| ავტოტექნომომსახურება - ქვეკონტრაქტორები                 | 18 084            | 10 576            |
| სათადარიგო ნაწილების კატალოგების ონლაინ მომსახურება     | 92 314            | 88 713            |
| ავტომანქანის გადაფორმების ხარჯი (მომსახურების სააგენტო) | 224 680           | 158 778           |
| მიწოდების შემდგომი საკონსულტაციო და სხვა ხარჯები        | 2 373             |                   |
| ჩაუთვლელი დღე                                           | 645 860           | 726 427           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                 | 14 382            | 8 050             |
| მიწოდების სხვა ხარჯები                                  | 103 470           | 141 567           |
| <b>სულ</b>                                              | <b>4 979 740</b>  | <b>4 604 713</b>  |

**შენიშვნა 17- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

|                                            | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება         | 8 412 381         | 5 155 420         |
| ოფისის რემონტის ხარჯი                      |                   | 48 063            |
| საკონსულტაციო ხარჯები                      | 361 074           | 183 838           |
| საგადასახადო ხარჯი                         | 287 815           | 238 453           |
| საბანკო ოპერაციის ხარჯი                    | 75 926            | 65 319            |
| მივლინების ხარჯი                           | 951               | 71 161            |
| ოფისის ავტომანქანების საექსპლუატაციო ხარჯი | 18 411            | 26 406            |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                    | 78 958            | 56 183            |
| სამეურნეო ხარჯი                            | 48 430            | 303 399           |
| ოფისის დაცვა                               | 31 830            | 31 830            |
| დაზღვევა                                   | 148 731           | 145 344           |
| სხვა ხარჯი                                 | 156 771           | 135 735           |

|                   |                   |                  |
|-------------------|-------------------|------------------|
| კომუნალური ხარჯი  | 169 534           | 166 672          |
| სხვა საერთო ხარჯი | 701 411           | 254 724          |
| <b>სულ</b>        | <b>10 492 223</b> | <b>6 882 548</b> |

**შენიშვნა 18 - ფინანსური ხარჯი, წმინდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:**

|                                    | 31 დეკემბერი 2020  | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------------------|--------------------|-------------------|
| შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან | 10 488 228         | 6 264 173         |
| ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან     | (12 742 423)       | (5 672 557)       |
| <b>სულ</b>                         | <b>(2 254 194)</b> | <b>591 616</b>    |

### რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე.

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                            | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 | 1 იანვარი 2019   |
|----------------------------|-------------------|-------------------|------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 17 087 516        | 5 426 701         | 2 963 146        |
| ფული და ფულის ეკვივალენტი  | 5 325 304         | 1 832 151         | 910 884          |
| <b>სულ საკრედიტო რისკი</b> | <b>22 412 820</b> | <b>7 258 852</b>  | <b>3 874 030</b> |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერი:

|                                                                                         | მოთხოვნა 6 თვეზე<br>ნაკლები დროით | 6 თვიდან 1<br>წლამდე | 1 წელზე მეტი       | სულ                |
|-----------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|----------------------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                         |                                   |                      |                    |                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტი                                                               | 5 325 304                         | -                    | -                  | <b>5 325 304</b>   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                              | 17 025 252                        | 62 264               | 41 024             | <b>17 128 540</b>  |
| <b>სულ სამომავლო მისაღები<br/>თანხები, მათ შორის ძირითადი<br/>და საპროცენტო თანხები</b> | <b>22 350 556</b>                 | <b>62 264</b>        | <b>41 024</b>      | <b>22 453 844</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                    |                                   |                      |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები                                                        | 20 384 579                        | -                    | -                  | <b>20 384 579</b>  |
| სესხები                                                                                 | 549 709                           | 793 989              | 2 984 305          | <b>4 328 003</b>   |
| <b>სულ სამომავლო გადახდები, მათ<br/>შორის ძირითადი და საპროცენტო<br/>გადახდები</b>      | <b>20 934 287</b>                 | <b>793 989</b>       | <b>2 984 305</b>   | <b>24 712 581</b>  |
| <b>ლიკვიდობის დეფიციტი</b>                                                              | <b>1 416 268</b>                  | <b>(731 725)</b>     | <b>(2 943 281)</b> | <b>(2 258 738)</b> |
| <b>ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი</b>                                                       | <b>1 416 268</b>                  | <b>684 543</b>       | <b>(2 258 738)</b> |                    |

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2019 წლის 31 დეკემბერი:

|                                                                                         | მოთხოვნა 6 თვეზე<br>ნაკლები დროით | 6 თვიდან 1 წლამდე  | 1 წელზე მეტი       | სულ                |
|-----------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                         |                                   |                    |                    |                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტი                                                               | 1 832 151                         | -                  | -                  | 1 832 151          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                              | 5 393 311                         | 33 390             | 123 258            | 5 549 959          |
| <b>სულ სამომავლო მისაღები<br/>თანხები, მათ შორის ძირითადი<br/>და საპროცენტო თანხები</b> | <b>7 225 462</b>                  | <b>33 390</b>      | <b>123 258</b>     | <b>7 382 110</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                    |                                   |                    |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები                                                        | 8 685 931                         |                    |                    | 8 685 931          |
| სესხები                                                                                 | 6 276 446                         |                    |                    | 6 276 446          |
| <b>სულ სამომავლო გადახდები,<br/>მათ შორის ძირითადი და<br/>საპროცენტო გადახდები</b>      | <b>14 962 376</b>                 | <b>-</b>           | <b>-</b>           | <b>14 962 376</b>  |
| <b>ლიკვიდობის დეფიციტი</b>                                                              | <b>(7 736 914)</b>                | <b>33 390</b>      | <b>123 258</b>     | <b>(7 580 266)</b> |
| <b>ლიკვიდობის ჯამური<br/>დეფიციტი</b>                                                   | <b>(7 736 914)</b>                | <b>(7 703 524)</b> | <b>(7 580 266)</b> |                    |

2019 წლის 1 იანვარი :

|                                                                                     | მოთხოვნა 6 თვეზე<br>ნაკლები დროით | 6 თვიდან 1 წლამდე   | 1 წელზე მეტი        | სულ                 |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|---------------------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                     |                                   |                     |                     |                     |
| ფული და ფულის ეკვივალენტი                                                           | 910 884                           | -                   | -                   | 910 884             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                          | 2 860 829                         | 102 317             | 78 547              | 3 041 693           |
| <b>სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ<br/>შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები</b> | <b>3 771 713</b>                  | <b>102 317</b>      | <b>78 547</b>       | <b>3 952 577</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                |                                   |                     |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                                       | 5 408 877                         |                     |                     | 5 408 877           |
| სესხები                                                                             | 16 735 736                        |                     |                     | 16 735 736          |
| <b>სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის<br/>ძირითადი და საპროცენტო გადახდები</b>      | <b>22 144 613</b>                 | <b>-</b>            | <b>-</b>            | <b>22 144 613</b>   |
| <b>ლიკვიდობის დეფიციტი</b>                                                          | <b>(18 372 900)</b>               | <b>102 317</b>      | <b>78 547</b>       | <b>(18 192 036)</b> |
| <b>ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი</b>                                                   | <b>(18 372 900)</b>               | <b>(18 270 583)</b> | <b>(18 192 036)</b> |                     |

**კაპიტალის რისკი.** კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შემდგომ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება. როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

|                                               | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 | 1 იანვარი 2019    |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სულ სესხები (შენიშვნა 10)                     | 4 328 003         | 6 276 446         | 16 735 736        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 8)      | 5 325 304         | 1 832 151         | 910 884           |
| <b>წმინდა სესხები</b>                         | <b>9 653 306</b>  | <b>8 108 597</b>  | <b>17 646 620</b> |
| <br>სულ კაპიტალი                              | <br>66 600 850    | <br>50 791 434    | <br>29 639 676    |
| <b>წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან</b> | <b>14%</b>        | <b>16%</b>        | <b>60%</b>        |

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2020 წლის 31  
დეკემბერს:

| USD ზეგავლენა |         | EUR ზეგავლენა |         | GBP ზეგავლენა |         |
|---------------|---------|---------------|---------|---------------|---------|
| USD/GEL       | USD/GEL | EUR/GEL       | EUR/GEL | GBP/GEL       | GBP/GEL |
| 20%           | - 20%   | 20%           | - 20%   | 20%           | - 20%   |

|                 |           |         |             |           |         |       |
|-----------------|-----------|---------|-------------|-----------|---------|-------|
| მოგება/(ზარალი) | (986 532) | 986 532 | (1 470 449) | 1 470 449 | (8 897) | 8 897 |
|-----------------|-----------|---------|-------------|-----------|---------|-------|

2019 წლის 31  
დეკემბერს:

| USD ზეგავლენა |         | EUR ზეგავლენა |         | GBP ზეგავლენა |         |
|---------------|---------|---------------|---------|---------------|---------|
| USD/GEL       | USD/GEL | EUR/GEL       | EUR/GEL | GBP/GEL       | GBP/GEL |
| 20%           | - 20%   | 20%           | - 20%   | 20%           | - 20%   |

|                 |           |         |           |         |            |          |
|-----------------|-----------|---------|-----------|---------|------------|----------|
| მოგება/(ზარალი) | (187 929) | 187 929 | (894 180) | 894 180 | (23 968.7) | 23 968.7 |
|-----------------|-----------|---------|-----------|---------|------------|----------|

შპს ჯი-თი მოტორს  
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2019 წლის 1 იანვარი:

|                                 | USD ზეგავლენა         |                       | EUR ზეგავლენა            |                          | GBP ზეგავლენა         |                       |                       |                       |                          |
|---------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------------|--------------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|--------------------------|
|                                 | USD/GEL               | USD/GEL               | EUR/GEL                  | EUR/GEL                  | GBP/GEL               | GBP/GEL               |                       |                       |                          |
|                                 | 20%                   | – 20%                 | 20%                      | – 20%                    | 20%                   | – 20%                 |                       |                       |                          |
| მოგება/(ზარალი)                 | (415 540)             | 415 540               | (2 064 176)              | 2 064 176                | (16 864)              | 16 864                |                       |                       |                          |
|                                 |                       |                       |                          |                          |                       |                       |                       |                       |                          |
|                                 | 31 დეკემბერი 2020     |                       | 31 დეკემბერი 2019        |                          | 31 დეკემბერი 2019     |                       |                       |                       |                          |
|                                 | USD 1 =<br>3.2766 GEL | EUR 1 =<br>4.0233 GEL | GBP 1 =<br>4.4529<br>GEL | USD 1 =<br>2.8677<br>GEL | EUR 1 =<br>3.2095 GEL | GBP 1 =<br>3.7593 GEL | USD 1 =<br>2.6766 GEL | EUR 1 =<br>3.0701 GEL | GBP 1 =<br>3.3955<br>GEL |
| ფინანსური აქტივები              |                       |                       |                          |                          |                       |                       |                       |                       |                          |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები  | 8 367                 | 4 794 523             | 859                      | 77 242                   | 916 971               | 70                    | 171 500               | 121 361               | 4 055                    |
| საეჭრო და სხვა მოთხოვნები       | 256 387               | 2 452 670             |                          | 303 348                  | 2 109 261             | 7 519                 | 61 595                | 1 498 649             |                          |
| სულ ფინანსური აქტივები          | 264 754               | 7 247 193             | 859                      | 380 590                  | 3 026 232             | 7 589                 | 233 095               | 1 620 010             | 4 055                    |
| ფინანსური ვალდებულებები         |                       |                       |                          |                          |                       |                       |                       |                       |                          |
| სესხები                         |                       |                       |                          |                          | 735 362               |                       | 1 211                 | 9 124 386             |                          |
| საეჭრო და სხვა<br>ვალდებულებები | 5 197 413             | 14 599 438            | 45 342                   | 1 320 234                | 6 761 769             | 127 432               | 2 309 586             | 2 816 502             | 88 374                   |
| სულ ფინანსური<br>ვალდებულებები  | 5 197 413             | 14 599 438            | 45 342                   | 1 320 234                | 7 497 131             | 127 432               | 2 310 797             | 11 940 888            | 88 374                   |
| სულ წმინდა პოზიცია              | (4 932 658)           | (7 352 245)           | (44 484)                 | (939 643)                | (4 470 899)           | (119 843)             | (2 077 702)           | (10 320 878)          | (84 319)                 |

### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან

არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები<br>დასახელება | ნაშთი 31 დეკემბერი,<br>2019 | ბრუნვა 2020      | ნაშთი 31 დეკემბერი,<br>2020 |
|------------------------------------------|-----------------------------|------------------|-----------------------------|
| შპს „ჯი-თი გრუპი“                        | 6 453                       | 323 727          | 731                         |
| შპს „ეკოპროდუქტი“                        | 7 028                       | 336 726          | 5 106                       |
| შპს „ამერი დეველოპმენტი“                 | 2809                        | -                | -                           |
| შპს ჯი-თი ენოლოჯიკა“                     | -                           | 41 150           | -                           |
| ფ/პ „გიორგი თავდიშვილი“                  | 70 715                      | 110 423          | 109 395                     |
| ფ/პ „გიორგი გველესიანი“                  | -                           | 3 595            | 3 340                       |
| ფ/პ „თემურ უსტიაშვილი“                   | -                           | 996 559          | -                           |
| <b>სულ</b>                               | <b>87005</b>                | <b>1 812 179</b> | <b>118 573</b>              |

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | ნაშთი 31<br>დეკემბერი, 2019 | ბრუნვა 2020    | ნაშთი 31 დეკემბერი,<br>2020 |
|-------------------------------|-----------------------------|----------------|-----------------------------|
| შპს „ჯი-თი გრუპი“             | 25 883                      | 623 991        | 12 013                      |
| შპს „ეკოპროდუქტი“             | 11 978                      | 11 134         | 11 134                      |
| შპს „კოლხი ჯგუფი“             | -                           | 209            | -                           |
| შპს ჯი-თი ენოლოჯიკა“          | -                           | 5 856          | 356                         |
| <b>სულ</b>                    | <b>37861</b>                | <b>641 189</b> | <b>23 503</b>               |

| გადასახდელი<br>ხელფასები | პ.ნ         | ნაშთი 31 დეკემბერი, 2020 | კავშირის სახე      |
|--------------------------|-------------|--------------------------|--------------------|
| თავდიშვილი გიორგი        | 61001002615 | 28 333                   | მთავარი მენეჯმენტი |
| გველესიანი გიორგი        | 61001004135 | 27 767                   | მთავარი მენეჯმენტი |
| უსტიაშვილი თემურ         | 61001007309 | 27 767                   | მთავარი მენეჯმენტი |
| <b>სულ</b>               |             | <b>83 867</b>            |                    |

## წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

### ა) წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორდა 2019 წლის შესადარისი პერიოდის ინფორმაცია. შესადარისი ინფორმაციის შესწორება მოხდა კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარე ჩაუთვლელი დღგ-ის გადაკლასიფიცირება - ადმინისტრაციულიდან მიწოდების ხარჯებში 726 427 ლარის ოდენობით.

| ფინანსური ანგარიშგების მუხლი | 2019 პირვანდელი | კორექტირება | რეკლასიფიკაცია | 2019 შეცვლილი |
|------------------------------|-----------------|-------------|----------------|---------------|
| მიწოდების ხარჯი              | 3 878 286       |             | 726 427        | 4 604 713     |
| ადმინისტრაციული ხარჯი        | 7 608 974       | -           | (726 427)      | 6 882 547     |

### სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში არსებით თანხაზე სასამართლო დავა არ აქვს.

### საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიცდის ცვლილებას კორონავირუსთან დაკავშირებით. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს მთავრობის 297-ე ბრძანებით კომპანიის ძირითადი საქმიანობა არ იყო შეზღუდული და სრულად განაახლა საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან.

ვირუსმა შესაძლოა ფართო გავრცელება პოვოს და ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით;

- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა კომპანიისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია, მაგრამ კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას საწარმოს ფუნქციონირებაზე.

#### **ბალანსის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ჯი-თი მოტორს  
მმართველობითი ანგარიშგება და 2020  
წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის  
მოსაზრება

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

### შპს „ჯი-თი მოტორს“-ის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი მოტორს“-ის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ჯი-თი მოტორს“-ის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ჯი-თი მოტორს“-ი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან/და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

### მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

### ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

გარიგების პარტნიორი

2021 წელი, თბილისი, საქართველო

## ❖ საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ჯი-თი მოტორს“ დაარსდა 2007 წლის 14 მარტს და 13 წელია წარმატებით მოღვაწეობს ავტოინდუსტრიის ბაზარზე. შპს „ჯი-თი მოტორს“-ის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია შპს „ჯი-თი გრუპ“ (ს/ნ 200119923).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მსუბუქი და კომერციული ტიპის ავტომობილების იმპორტი, რეალიზაცია, გაქირავება და მათი შემდგომი მომსახურება, ასევე სათადარიგო ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია.

ჩვენი კომპანია საქართველოში წარმოადგენს ისეთ საავტომობილო ბრენდებს, როგორიცაა [Ford](#), [Land Rover](#), [Jaguar](#) და [Suzuki](#).

ჩვენი პარტნიორები არიან ისეთი ცნობილი საერთაშორისო ავტო-მწარმოებლები, როგორებიცაა: Ford Motor Company; Ford Trading Company; Ford Werke GMBH; Suzuki Magyar Zrt; Jaguar Land Rover limited.

კომპანიის ავტოსალონებში (ე.წ. შოუ-რუმებში) წარმოდგენილია დასახელებული ავტომწარმოებლების უახლესი მოდელები. იქვე ფუნქციონირებს საავტომობილო მომსახურების სერვის-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამდროვე ავტო-დიაგნოსტიკური, მექანიკური და სამღებრო-სათუნუქე დანადგარებით, რომლებიც მომწოდებელი ავტომწარმოებლების მოთხოვნის საფუძველზეა გამართული და სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენს კომპანიას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და აღიარება გაყიდვების და მომსახურების ხარისხის სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის. დეტალური ინფორმაციის მიღება ჩვენი სარეალიზაციო პროდუქციის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ვებგვერდზე <https://www.landrover-georgia.com/ge/> <https://www.jaguar-georgia.com/ge/> <https://ford.com.ge/>

## ❖ მომსახურების ცენტრები

ჩვენი სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანი №155-ში, ხოლო გაყიდვებსა და მომსახურებას ვახორციელებთ შემდეგი ობიექტების მეშვეობით:

- 1) ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №155;
- 2) ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №163;
- 3) ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №216
- 4) ქ.ბათუმი, სულხან საბა ორბელიანის №21.

მომსახურების ცენტრების არსებობის ძირითად მიზანს მომხმარებელთათვის მომსახურების მიწოდების გამარტივება და ხარისხი წარმოადგენს. მომსახურების დელეგირების სწორი სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს მომხმარებლების დროს და ამ პროცესში ჩართული თანამშრომლები მუდმივად ხელმძღვანელობენ მომსახურების საერთაშორისო აღიარებული სტანდარტით. ასევე ვახდენთ მომსახურების პროცესში ჩართული პოზიციების საქმიანობის პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე თანამშრომელთა წახალისებას.

## ❖ გაყიდვის არხები

შპს „ჯი-თი მოტორს“-ის გაყიდვის მთავარი არხებია:

- საცალო
- კორპორატიული
- სახელმწიფო ტენდერები

## ❖ სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია საავტომობილო ინდუსტრიის სფეროში. იგი აქტიურად მონაწილეობს გაყიდვების ზრდასა და ავტოტექნომსახურების სხვადასხვა სფეროების განვითარებასა და განახლებაში.

უახლესი დანადგარებით აღჭურვილი სამღებრო-სათუნუქე საამქრო უახლოეს მომავალში ფუნქციონირებას განაგრძობს განახლებულ შენობაში, რომელიც დაპროექტდება და აშენდება ენერგოეფექტურობის პრინციპების დაცვით და რომელსაც ამიერკავკასიაში ანალოგი არ აქვს. ასევე ვაგრძელებთ ახალი

ავტომანქანების შესყიდვის ზრდის ტენდენციის შენარჩუნებას, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ახალი ბაზრის ათვისებას, მომსახურების მოქნილი და ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას, სპეციალური აქციების გამოცხადებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს და შეამცირებს მომხმარებლის ფინანსურ დანახარჯებს და გაზრდის მომსახურების ხარისხს.

### ❖ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „ჯი-თი მოტორს“-ი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს და განიხილავს მას როგორც გრძელვადიან პროგრამას და საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა სამუშაო გარემო-პირობების გაუმჯობესებასა და მათ ჯანმრთელობაზე. განახლებულია საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, ინტერიერი, თანამშრომლები ჩართული არიან სადაზღვევო პროგრამაში, ჯანმრთელობის დაზღვევის ინდივიდუალური და საოჯახო პაკეტებით, კორპორაციული პირობების გათვალისწინებით.

COVID-19-ის პანდემიად გამოცხადების პერიოდში, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის შეზღუდვების დაწესების დროს, ჩვენი კომპანია აქტიურად და შეუჩერებლად ახორციელებდა თავისი პერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ასევე ეფექტურად და კოორდინირებულად იცავდა COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ზომებს და სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებებს. ამასთან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიზნით, ყველა თანამშრომელს მიეცა დამატებით 1 დღიანი ანაზღაურებადი შვებულება.

### ❖ თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა

კომპანიაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ტექნიკური და გაყიდვების პერსონალის გადამზადება. ამასთან, დადგენილი პერიოდულობით, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო პროგრამების შესაბამისად, ავტოტექნომომსახურების (სერვისის) და გაყიდვების სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ ისეთი პარტნიორი ბრენდების მიერ დაგეგმილ ტრენინგებში როგორიცაა Jaguar Land Rover Limited, Ford Motor Company, Suzuki Magyar Zrt. ასევე მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ბრენდების მიერ მოწყობილ რეგიონულ შეჯიბრებებში, რაც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამები მოიცავს სრულყოფილი მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მოდულებს, ასევე კომუნიკაციის მენეჯმენტის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

## ❖ მომხმარებელთან ურთიერთობის პასუხისმგებლობა

მომხმარებელთან ოპერატიული კომუნიკაციის მიზნით, კომპანიაში ფუნქციონირებს მუდმივი საინფორმაციო სამსახური, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს საშუალება აქვს წინასწარი ჩაწერის საფუძველზე მიიღოს ავტოტექნომოსახურება და ნებისმიერი სახის ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. მიიღოს როგორც რეკომენდაციები, ასევე კონსულტაციები ავტომანქანის ან ავტოტექნომოსახურების თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, ვებ-გვერდების: <https://www.landrover-georgia.com/ge/>, <https://www.jaguar-georgia.com/ge/>, <https://ford.com.ge/> საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ შემდეგი მომსახურებების დისტანციურად მიღება:

ინფორმაცია ბრენდის უახლესი და არსებული მოდელების შესახებ; ავტომანქანის კონფიგურატორის მეშვეობით სასურველი მოდელის აწყობა/შექმნა. შეთავაზებები, სიახლეები და ავტომანქანის სერვისთან თუ გარანტიასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

კომპანიაში შეიქმნა ბიზნეს პროცესებისა და ხარისხის მენეჯმენტის განყოფილება, რომელიც აქტიურად მუშაობს თითოეული ბიზნეს პროცესის აღწერაზე, მოდერნიზაციაზე, ავტომატიზაციასა და სტანდარტიზაციაზე. ბიზნეს პროცესის მოდელირება ერთ -ერთი მეთოდია ჩვენი კომპანიის ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად რაც საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ წარმოქმნილი რისკები.

2021 წლიდან, მომხმარებელთა მეტი კომფორტის შექმნის მიზნით, შპს „ჯი-თი მოტორს“-ი გეგმავს, კონკრეტული მომსახურების მისაღებად საჭირო ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის სერვისის ამოქმედებას იაგუარისა და ლენდ როვერის საერთაშორისო ონლაინ სერვისის სისტემიდან NetDirector Service Booking. აღნიშნული სერვისი მიზნად ისახავს მომხმარებლის დროის დაზოგვას და სწრაფი მომსახურების მიღებას.

## ❖ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის მხრიდან, ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ შესასრულებელი სპეციფიკური სამუშაოების გათვალისწინებით, შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად. კომპანიის მიზანია მისი საქმიანობის წარმართვა გარემოს ზიანის ზემოქმედების გარეშე და

ნარჩენების მაქსიმალური შემცირებით. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ გვყავს სპეციალურად გადამზადებული კვალიფიციური თანამშრომელი.

კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე. შიდა რესურსთან ერთად, ჩვენმა კომპანიამ დამატებით გააფორმა ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპანიასთან, რომელიც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ჩართულობით თვეში ორჯერ ადგილზე ამოწმებს ჩვენი სამუშაო პირობების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და იძლევა შესაბამის ანალიზს, შეფასებას და სამომავლო რეკომენდაციებს.

### ❖ კოვიდ-19 პანდემიის გავლენა კომპანიაზე

ვირუსის გავრცელებას რთული გამოწვევების მიუხედავად, რამაც მძიმე გავლენა იქონია მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე, გამოთქმული ვარაუდის და პროგნოზების ფონზე, ეკონომიკური შეზღუდვების მიუხედავად, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ჩვენი კომპანიის საოპერაციო საქმიანობასა და შედეგებზე.

COVID 19-თან დაკავშირებით, შპს „ჯი-თი მოტორს“-მა სრულად უზრუნველყო ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი პროდუქციის შესყიდვა და გამოყენება. ჩატარდა ყველა საკარანტინო პროცედურა და გაიცა შიდა ინსტრუქციები აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად;

ამჯერად ქვეყანაში კვლავ მოქმედებს შეზღუდვები და საკმაოდ რთულია საბოლოო ეკონომიკური პროგნოზის წინასწარი განსაზღვრა.

### ❖ პროგრამული უზრუნველყოფა

კომპანიაში ავტომატური მომსახურების სპეციფიკაზე მორგებული DMS სისტემის, კერძოდ Incadea დანერგვა დაიწყო 2018 წლის აგვისტოში, ხოლო სისტემა პროდუქტიულ რეჟიმში გაეშვა 2020 წლის 1 იანვარს.

DMS სისტემა მოიცავს შემდეგ ფუნქციონალურ მოდულებს: შესყიდვები, გაყიდვები, საწყობი, ინტეგრირება საბუღალტრო პროგრამასთან, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის უფრო სწრაფად წარმართვას. ანალიტიკური ინფორმაციის განვითარებას. ოპერატიულობას მარაგების მოძრაობასთან, ნაშთებთან, კონკრეტული ავტომატური ისტორიასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო სისტემის ეფექტური განვითარებისთვის, შპს „ჯი-თი მოტორს“-ი გეგმავს საბუღალტრო პროგრამის განახლებას და მოდელირებას რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის ბუღალტრებისა და მენეჯერების ყოველდღიურ საქმიანობას და შედეგებს.

## ❖ კომპანიის ძირითადი რისკები

შპს ჯი-თი მოტორს-ის ძირითადი საქმიანობის ლოკაცია არის საქართველო, რაც მოიცავს ძირითად სავალუტო რისკს. სავალუტო კურსის ნებისმიერი ცვლილება გავლენას ახდენს მომავალი გარიგების ფასზე. იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, როგორც შპს „ჯი-თი მოტორს“-ი გახლავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, რადგან კომპანია, როგორც წესი, ვაჭრობისა და სერვისის მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს. შპს „ჯი-თი მოტორს“-ი ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობების, ფასების წარმოქმნისა და ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საოპერაციო საქმიანობის სტაბილურად და რენტაბელურად წარმართვისთვის.

## ❖ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

- *შემოსავალი, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საერთო მოგება*

შპს ჯი-თი მოტორს-ის საოპერაციო შემოსავალმა რეალიზაციიდან 2020 წელს მიაღწია 175,997 მილიონ ლარს, რაც 8.22%-ით აღემატებოდა 2019 წლის შედეგს, რომელიც შეადგენდა 162,631 მილიონ ლარს. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება გაზრდილია წინა წელთან მიმართებაში 3.90%-ით. ძირითად მიზეზად განიხილება სავალუტო კურსის ცვლილების გამო რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდა ეროვნულ ვალუტაში.

|               | 2020         | 2019         | ცვლილება |
|---------------|--------------|--------------|----------|
| შემოსავალი    | 175,997,579  | 162,631,839  | 8.22%    |
| რსო           | -140,654,548 | -135,373,139 | 3.90%    |
| საერთო მოგება | 35,343,031   | 27,258,700   | 29.66%   |

• *საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან*

2020 წლის საოპერაციო მოგება 24,401 მილიონი ლარია, რომელიც 13,41%-ით გაზრდილია 2019 წელთან მიმართებაში. საერთო მოგებამ 35,343 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 29,66%-ით აღემატება წინა წლის შედეგს. საოპერაციო მოგების ზრდა გამოწვეულია კომპანიის შემოსავლების ზრდით, მარჟის შენარჩუნებით და საოპერაციო ხარჯების მკაცრი კონტროლით რაც მნიშვნელოვნად დადებითად აფასებს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას.

|                                     | 2020              | 2019              | ცვლილება      |
|-------------------------------------|-------------------|-------------------|---------------|
| შემოსავალი                          | 175,997,579       | 162,631,839       | 8.22%         |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | (140,654,548)     | (135,373,139)     | 3.90%         |
| <b>საერთო მოგება</b>                | <b>35,343,031</b> | <b>27,258,700</b> | <b>29.66%</b> |
| <b>საერთო მოგების მარჟა</b>         | <b>20.08%</b>     | <b>16.76%</b>     |               |
| მიწოდების და მომსახურების ხარჯები   | (4,979,740)       | (4,604,713)       | 8.14%         |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები   | (10,492,223)      | (6,882,547)       | 52.45%        |
| სხვა შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)        | 4,530,045         | 5,744,388         | -21.14%       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>            | <b>24,401,112</b> | <b>21,515,828</b> | <b>13.41%</b> |
| <b>საოპერაციო მოგების მარჟა</b>     | <b>13,86%</b>     | <b>13,23%</b>     |               |

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წელთან შედარებით 52.45 %-ით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია კომპანიის საქმიანობისა და მასშტაბების გაფართოებით, ასევე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით პერსონალის მატების შედეგად სახელფასო ფონდის ზრდით. მიწოდების და მომსახურების ხარჯები 8,14%-ით გაიზარდა და 4,979 მილიონი ლარი შეადგენდა, აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება დაკავშირებულია კომპანიის კომერციულ საქმიანობასთან, შემოსავლების გაზრდის მიზნით.

- **EBITDA**

კომპანიის EBITDA 2020 წელს 14.03 %-ით არის გაზრდილი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 22,853 მილიონ ლარს. EBITDA-ს ზრდა ძირითადად განპირობა კომპანიის სტაბილურმა საოპერაციო საქმიანობამ და შემოსავლის ზრდამ, რამაც სწორი დაგეგმვისა და მენეჯმენტის პირობებში არ გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის იგივე პროპორციით გაზრდა.

|                             | 2020               | 2019               | ცვლილება      |
|-----------------------------|--------------------|--------------------|---------------|
| <b>შემოსავალი</b>           | <b>175,997,579</b> | <b>162,631,839</b> | <b>8.22%</b>  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>    | <b>24,401,112</b>  | <b>21,515,828</b>  | <b>13.41%</b> |
| <b>ცვეთა და ამორტიზაცია</b> | <b>(1,659,053)</b> | <b>(1,338,072)</b> | <b>23.99%</b> |
| <b>EBITDA</b>               | <b>26,060,165</b>  | <b>22,853,900</b>  | <b>14.03%</b> |

- **ფინანსური შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)**

შპს ჯი-თი მოტორს-ის ფინანსური ხარჯი ძირითადად შეადგენს საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების, გარანტიების და მომწოდებელთან გაფორმებული სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო ხარჯს, რომელმაც 2020 წელს შეადგინა 2,272 მილიონი ლარი, რაც 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 41.27%-ით. საპროცენტო ხარჯის ზრდა ძირითადად გამოწვეულია საოპერაციო საქმიანობისა და შემოსავლის ზრდის შედეგად, გასაყიდად განკუთვნილი საქონლის დაფინანსებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯის წარმოქმნით, რომლის ზრდაც დადებითად აისახა როგორც რეალიზაციის, ასევე საერთო მოგებისა და EBITDA-ს მაჩვენებლებზე.

2020 წელს ზარალმა კურსის ცვლილებიდან შეადგინა 2, 254 მლნ ლარი.

ყველა აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის დასაბეგრი მოგება, 2020 წლის ბოლოს, შეადგენს 19,874 მილიონ ლარს რაც 2019 წელთან შედარებით 3.05%-ით არის შემცირებული და განპირობებულია ზემოთ ხსენებული ფაქტორებით.

**პატივისცემით,**

გენერალური დირექტორი:

თემურ უსტიაშვილი

• *EBITDA*

კომპანიის EBITDA 2020 წელს 14.03 %-ით არის გაზრდილი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 22,853 მილიონ ლარს. EBITDA-ს ზრდა ძირითადად განაპირობა კომპანიის სტაბილურმა საოპერაციო საქმიანობამ და შემოსავლის ზრდამ, რამაც სწორი დაგეგმვისა და მენეჯმენტის პირობებში არ გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის იგივე პროპორციით გაზრდა.

|                      | 2020               | 2019               | ცვლილება      |
|----------------------|--------------------|--------------------|---------------|
| <b>შემოსავალი</b>    | <b>175,997,579</b> | <b>162,631,839</b> | <b>8.22%</b>  |
| საოპერაციო მოგება    | 24,401,112         | 21,515,828         | 13.41%        |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (1,659,053)        | (1,338,072)        | 23.99%        |
| <b>EBITDA</b>        | <b>26,060,165</b>  | <b>22,853,900</b>  | <b>14.03%</b> |

• *ფინანსური შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)*

შპს ჯი-თი მოტორს-ის ფინანსური ხარჯი ძირითადად შეადგენს საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების, გარანტიების და მომწოდებელთან გაფორმებული სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო ხარჯს, რომელმაც 2020 წელს შეადგინა 2,272 მილიონი ლარი, რაც 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 41.27%-ით. საპროცენტო ხარჯის ზრდა ძირითადად გამოწვეულია საოპერაციო საქმიანობისა და შემოსავლის ზრდის შედეგად, გასაყიდად განკუთვნილი საქონლის დაფინანსებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯის წარმოქმნით, რომლის ზრდაც დადებითად აისახა როგორც რეალიზაციის, ასევე საერთო მოგებისა და EBITDA-ს მაჩვენებლებზე.

2020 წელს ზარალმა კურსის ცვლილებიდან შეადგინა 2, 254 მლნ ლარი.

ყველა აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის დასაბეგრი მოგება, 2020 წლის ბოლოს, შეადგენს 19,874 მილიონ ლარს რაც 2019 წელთან შედარებით 3.05%-ით არის შემცირებული და განპირობებულია ზემოთ ხსენებული ფაქტორებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი:

თემურ უსტიაშვილი

*თ. უსტიაშვილი*

